

ქ.თბილისი

2020 წლის 26 ოქტომბერი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2020 წლის 26 ოქტომბერს, სხდომა ჩატარდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

ონლაინ რეჟიმში სხდომაში მონაწილეობდა კომისიის 8 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ მონაწილე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ირაკლი ჩიქავა, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ლაშა მაჭავარიანი, ლაშა თავართქილაძე, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მეთვალყურის ნ. ელოშვილის ოქმი, მატჩის მთავარი მსაჯის შ.თევზაძის და თანამსაჯის პ. ჭიქაბერიძის განცხადებები, ამა წლის 16 ოქტომბერს, დიდი 10-ს მატჩზე, ბათუმის „ბათუმი“-სა და მარნეულის „არმაზი“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. მარნეულის „არმაზი“-ს მწვრთნელი ირაკლი მაჩხანელი - მატჩის ოფიციალურ პირთა გადაწყვეტილებებზე საჯაროდ აპელირება.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.1.2, პუნქტით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. მარნეულის „არმაზი“-ს მწვრთნელი ირაკლი მაჩხანელი დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით, ხოლო გუნდი დაჯარიმდეს 300(სამასი) ლარით.
2. დისკვალიფიცირებული მწვრთნელის მიერ სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 2.1.19 პუნქტის დარღვევის შემთხვევაში, კლუბის მიმართ ამოქმედება ამავე პუნქტით გათვალისწინებული სანქცია.
3. საჯარიმო თანხის გადახდის ვადა განისაზღვროს 2020 წლის 26 ნოემბრამდე.
4. საჯარიმო თანხის მითითებულ ვადაში გადაუხდელობის შემთხვევაში, მარნეულის „არმაზი“-ს მიმართ ამოქმედდება სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის 3.3 პუნქტი.

